

ტრანსნაციონალური დანაშაულისა და
კორუფციის კვლევის ცენტრი
კავკასიის ოფისი (**TraCCC CO**)



www.traccc.cdn.ge



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული რეორგანიზაცია და საკადრო ოპტიმიზაცია

შინაგან საქმეთა ორგანოებიდან საკადრო
ოპტიმიზაციის პროცესში დათხოვნილ
თანამშრომელთა ამჟამინდელი საქმიანობა

კვლევის მიზნები

- საკადრო და სტრუქტურული რეორგანიზაციის შესაბამისად რამდენი თანამშრომელი იქნა დათხოვნილი?
- რა საქმიანობას ეწევიან ამჟამად დათხოვნილი პოლიციელები?
- როგორია დათხოვნილ თანამშრომელთა დესტრუქციულ ძალად ჩამოყალიბების ალბათობა მათ მიერ სამსახურის და შემოსავლის წყაროს (ძირითადად უკანონო) დაკარგვის გამო?
- არსებობს თუ არა დათხოვნილი პოლიციელების კავშირი ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებთან და მათი ერთობლივი უკანონო საქმიანობის გამოვლენის შემთხვევები?

დათხოვნილ პოლიციელთა ამჟამინდელი სტატუსი და სოციალური მდგომარეობა

- დათხოვნილ პოლიციელთა უმრავლესობა ამჟამად უმუშევარია.
- დათხოვნილ პოლიციელთა მცირე ნაწილმა ხელახლა დაიწყო მუშაობა შინაგან საქმეთა ორგანოებში.
- დათხოვნილ თანამშრომელთა (უმთავრესად დაბალი რანგის) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ძალზე მძიმეა.

აუცილებელია სახელმწიფოს მიერ ყოფილი პოლიციელებისთვის შესაბამისი სოციალური დაცვის პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

კანონიერი საქმიანობა

- დათხოვნილ პოლიციელთა მცირე ნაწილს (ძირითადად, ყოფილ მაღალჩინოსნებს) აქვს საკუთარი მცირე ბიზნესი, რომელიც შექმნეს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის ან იქიდან დათხოვნის შემდეგ.
- დათხოვნილი თანამშრომლების ნაწილი მუშაობს კერძო დაცვის ფირმებში როგორც თბილისში, ისე რეგიონებში.

კანონიერი საქმიანობა

- რეგიონებში ყოფილ თანამშრომელთა კანონიერი საქმიანობა დამოკიდებულია ამა თუ იმ კონკრეტული რეგიონის სპეციფიკაზე. თუმცა ყოფილი პოლიციელები ძირითადად დასაქმებულნი არიან შემდეგ სფეროებში:
 - სოფლის მეურნეობა;
 - ვაჭრობა;
 - მომსახურება.
- ყოფილ პოლიციელთა მცირე ნაწილი სამუშაოს მოსაძებნად გაემგზავრა საზღვარგარეთ.


კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა

ყოფილი პოლიციელების უკანონო/დანაშაულებრივ საქმიანობაში მონაწილეობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შემდეგი ორი ფაქტორი:

- კადრების ოპტიმიზაციის პროცესი ჩატარდა სათანადო კონტროლის გარეშე, რამაც გამოიწვია ყოფილი თანამშრომლების მიერ პოლიციის პირადობის მოწმობების ჩაუბარებლობა.
- ყოფილი პოლიციელების მიერ ე.წ. მარცხენა იარაღის ფლობის ალბათობა ძალზე მაღალია.

კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა

- ყოფილი და მოქმედი პოლიციელების მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების უმრავლესობა აღიძრა ქრთამის აღების ბრალდებით. მეორე ადგილზეა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულები.



კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა

- შინაგან საქმეთა ორგანოების წმენდა, პირველ რიგში, შეეხო ნარკოტიკების მომხმარებელ პოლიციელებს, რომელთა ნაწილი ამავე დროს ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციითაც იყო დაკავებული. დათხოვნის შემდგომ მათ განაგრძეს ნარკოტიკებთან დაკავშირებული კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა.
- დათხოვნილ პოლიციელთა უკანონო საქმიანობაში პირველი ადგილი ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებულ დანაშაულებრივ საქმიანობას უჭირავს.

კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა

- კვლევის პროცესში დადგინდა დათხოვნილ თანამშრომელთა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის შემდეგი ძირითადი მიმართულებები:
 - ნარკოდანაშაული (მოხმარება, შენახვა, რეალიზაცია, კონტრაბანდა);
 - ძარცვა;
 - ყაჩაღობა;
 - რეკეტი;

კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა

- მეზობელი ქვეყნებიდან კონტრაბანდული საქონლის შემოტანა;
- კონფლიქტის ზონებიდან (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი) აღურიცხავი საქონლის შემოტანა;
- ევროპის ქვეყნებიდან მოპარული ავტომანქანების (ხშირად ნარკოტიკებით) შემოყვანა;
- ერთი მხრივ, პოლიციასა და, მეორე მხრივ, მოქალაქეებსა და კრიმინალებს შორის კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობა.

კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა

- რეგიონის სპეციფიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დათხოვნილი პოლიციელების კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაზე, მაგალითად:
 - ქვემო ქართლში ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ყოფილი პოლიციელების ნაწილი მონაწილეობს კონტრაბანდული საქონლის (მათ შორის, ნარკოტიკული საშუალებების) შემოტანაში.
 - შიდა ქართლში აღურიცხავი საქონლის შემოტანა. ამ პროცესში ბევრი ყოფილი პოლიციელი და ყოფილი სპეცრაზმელი მონაწილეობდა.

კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა

- ყოფილი პოლიციელების ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებთან კავშირზე არსებული ცალკეული მაგალითები:
 - კახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილ მოადგილეს და მის მძღოლს კავშირები ჰქონდათ საქართველოსა და რუსეთში მოქმედ ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფთან.
 - შსს ანტიკორუფციული ქვედანაყოფის ერთ-ერთ ყოფილ ხელმძღვანელს კავშირი ჰქონდა ე.წ. მოჭიდავეთა დანაშაულებრივ დაჯგუფებასთან.
 - ბელგიის პოლიციის ინფორმაციით, ყოფილი ქართველი პოლიციელები მჭიდრო კავშირში არიან ევროპაში მოქმედ დანაშაულებრივ დაჯგუფებებთან (მოპარული მანქანების ტრანსპორტირება, “სუბუტექსის” გადატანა).

დასკვნები

- არსებობს იმის დიდი ალბათობა, რომ ყოფილი პოლიციელების მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების დიდი ნაწილი არ არის რეგისტრირებული ორი ძირითადი მიზეზის გამო:
 - მათ იციან, როგორ ჩაიდინონ დანაშაული და დამალონ კვალი;
 - მოქმედი თანამშრომლები ლოიალობას იჩენენ დათხოვნილების მიმართ.

პოლიციის თანამშრომლები ინტერვიუების დროს აცხადებდნენ: “ყოფილი პოლიციელები ხელშეუხებლები არიან”; “ჩვენ დავაკავებთ ყოფილ პოლიციელს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მძიმე დანაშაულს ჩაიდენს”.

დასკვნები

კვლევის დროს დადგინდა:

- ყოფილი პოლიციელები, ცალკეულ შემთხვევებში ჩართულნი არიან კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში, მაგრამ ამას არ აქვს ორგანიზებული ხასიათი.
- მხოლოდ ყოფილი პოლიციელებისგან შემდგარი დანაშაულებრივი დაჯგუფების არსებობა არ გამოიკვეთა. ისინი ჩართული არიან სხვადასხვა დანაშაულებრივ დაჯგუფებებში რიგითი წევრების სახით.

დასკვნები

- ყოფილი პოლიციელების მიერ ჩადენილი დანაშაულები, თითქმის ყველა შემთხვევაში, იდენტურია მოქმედი პოლიციელების მიერ ჩადენილი დანაშაულებისა.
- ყოფილი, კრიმინალში მხილებული პოლიციელები ცდილობენ, გააგრძელონ იგივე მართლსაწინააღმდეგო საქმიანობა სამსახურიდან დათხოვნის შემდეგაც.
- ყოფილი პოლიციელების მიერ ჩადენილი მცირე გადაცდომები და დანაშაულები რეაგირების გარეშე რჩება მოქმედი პოლიციელების მხრიდან ლოიალური დამოკიდებულების გამო.

რეკომენდაციები

- აუცილებელია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შექმნას ყოფილი პოლიციელების მონაცემთა ერთიანი ბაზა და განახორციელოს მათი ამჟამინდელი საქმიანობის ოპერატიული კონტროლი.
- აუცილებელია სახელმწიფოს მიერ ყოფილი პოლიციელებისათვის შესაბამისი სოციალური დაცვის პროგრამების შემუშავება და განხორციელება.
- აუცილებელია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული “დათხოვნილ პოლიციელთა და სამხედრო მოსამსახურეთა სამოქალაქო საზოგადოებაში რეინტეგრაციის” პროგრამის სასწრაფო ამოქმედება.



Transnational Crime and Corruption Center

Caucasus Office

(TraCCC CO)

www.traccc.cdn.ge